“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი)

8 სექტემბერს ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის 1948 წლის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტის” გუნდები. პირველი წრის შეხვედრა აღნიშნულ გუნდებს შორის, რომელიც ლენინგრადში შესდგა, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

მატჩის დასაწყისში თბილისელებმა მათთვის ჩვეული თავბრუდამხვევი ტემპი განავითარეს და ლამაზი, შეწყობილი კომბინაციებით არაერთგზის მიიტანეს იერიში “ზენიტის” კარზე. ლენინგრადელ მცველებში ამან საკმაო არეულობა გამოიწვია, მაგრამ თბილისელი თავდამსხმელები, რომლებიც დაუცველ კართან 8–10 მეტრ მანძილზე რჩებოდნენ, არაზუსტად ურტყამდნენ. მე–16 წუთზე ვ. პანიუკოვმა მაინც შესძლო პირველი ბურთი გაეტანა “ზენიტის” კარში. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მატჩის მეორე ნახევრის დასაწყისში კვლავ თბილისელები უტევდნენ. მე–17 წუთზე რ. მახარაძე მოხერხებულად გაუსხლტა ლენინგრადელ მცველს, შემდეგ წინ გამოჭრილ მეკარე გრიშჩენკოს აუარა გვერდი და მეორე ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ თამაშის ტემპი შენელდა, განსაკუთრებით მოადუნეს თამაში თბილისელებმა. ამით ისარგებლეს ლენინგრადელებმა და გააძლიერეს იერიშები მოედნის თბილისელთა ნახევარზე. ამან თავისი ნაყოფი მოუტანა სტუმრებს. 32–ე წუთზე სმირნოვმა (“ზენიტი”) 11–მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ბურთი “დინამოს” კარში. თბილისელები ბეწვზე გადარჩნენ მეორე ბურთისაგანაც, როდესაც თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მარცხენა შუამარბმა მარიუტინმა ახლო მანძილიდან “ცას სტყორცნა” ბურთი. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, 10 სექტემბრისათვის 23 თამაშიდან მოსკოვის “დინამოს” აქვს 36 ქულა, მოსკოვის “ცდკას” 35 ქულა, მოსკოვის “სპარტაკს” 33 ქულა, თბილისის “დინამოს” 32 ქულა და მოსკოვის “ტორპედოს” 27 ქულა.

მორიგ მატჩს თბილისის “დინამო” ჩაატარებს 13 სექტემბერს კიევში ადგილობრივ “დინამოს” გუნდთან.

ა. გოგოლაშვილი.
“კომუნისტი”, 10 სექტემბერი, 1948 წ.